

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 28

ქ.თბილისი

2021 წლის 4 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 4 მარტს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუარინანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ბ. ზიბზიბაძის ოქმი, ამა წლის 27 თებერვალს, რეგიონული ლიგის არშემდგარ მატჩზე, ზესტაფონის „არწივები“-სა და ქედას „ფირალები“-ს შორის.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქედას „ფირალები“ - არ გამოცხადდა მატჩზე.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 1.11 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქედას „ფირალებს“- ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. ზესტაფონის „არწივებს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და კლუბ ქედას „ფირალებს“ რეგიონულ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/